ა(ა)ი.პ კულტურის და ხელოვნების ცენტრის 2021-2022 წლების ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის ა(ა)ი.პ კულტურის და ხელოვნების ცენტრში ფუნქციონირებს 25 საბიბლიოთეკო განყოფილება, ისტორიული მუზეუმი, რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,უბისი" და ,,მთიელი", ხალხური სიმღერის ანსამბლი ,,ოდილა", ვაჟთა ვოკალური ანსამბლი ,,ხარაგაულის ხმები", ხალხური სიმღერის ანსამბლი ,,უბისი".

ა(ა) ი.პ კულტურის და ხელოვნების ცენტრში 2021 წელს განხორციელებული ღონისძიებები.

საბიბლიოთეკო გაერთიანებაში 2021 წელს 18 ღონისძიება გაიმართა, ღონისძიებები იმართებოდა როგორც ცენტრალურ ისე სასოფლო განყოფილებებში.

საბავშვო ბიბლიოთეკამ რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო 2021 წელს მხოლოდ ერთი ღონისძიების ჩატარება შეძლო. (ბიბლიოთეკაში ,,ყველგან სადაც ხარ" კვირეულის ფარგლებში ბავშვებისთვის წაკითხული იქნა - ,,ანა გოგოს ზღაპრები" )

ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა 2021 წლის 15 ივნისს სპექტაკლის ,,იმერული რეკვიემი" პრემიერა გამართა. აღნიშნული სპექტაკლი განმეორებით ჩატარდა ორჯერ.

თოჯინების თეატრმა 2021 წელს მხოლო 2 სპექტაკლი ჩაატარა. დაბა ხარაგაულსა და სოფელ საღანძილეში.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულმა თეატრმა 2021 წელს 4 ღონისძიება გამართა. ამჟამად მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის გადაღებები ევგენი ხარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ხარაგაულის ისტორიულმა მუზეუმმა 2021 წელს რამდენიმე პროექტი განახორციელა. (სულ 12 პროექტი).

ბიბლიოთეკების გაერთიანება

3 თებერვალი--წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე

23 თებერვალი--მარელისის სასოფლო განყოფილება - ღონისძიება ,,წიგნი სამყაროს კარიბჭე".

25 თებერვალი-- ცენტრალური ბიბლიოთეკა--100 წელი რუსეთის ოკუპაციიდან- სტუმარი ზეინაბ ბუაჩიძე.

24 აპრილი საბის სასოფლო განყოფილება -- ღონისძიება ,,რა ლამაზია ჩემი სოფელი".

26 აპრილი-- ნადაბურის სასოფლო განყოფილება--ღონისძიება ,,წიგნიერება ჩვენი სიძლიერეა".

26 აპრილი-- ვახანის სასოფლო განყოფილება--ღონისძიება-- ვაჟა ფშაველას 160 წლისადმი მიძღვნილი საღამო.

26 აპრილი--ლაშის სასოფლო განყოფილება--ღონისძიება --შეხვედრა აქტიურ მკითხველთან.

27 აპრილი- ხევის სასოფლო განყოფილება--ვაჟა ფშაველას 160 წლისადმი მიძღვნილი საღამო.

27 აპრილი--მოლითის სასოფლო განყოფილება--გალაკტიონ ტაბიძის 130 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

28 აპრილი-- სარგვეშის სასოფლო განყოფილება-- შეხვედრა აქტიურ მკითხველთან.

28 აპრილი--წიფის სასოფლო განყოფილება--გალაკტიონ ტაბიძის 130 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

29 აპრილი--ვერტყვიჭალის სასოფლო განყოფილება-- რევაზ ინანიშვილის 95 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

28 აპრილი--ბორითის  სასოფლო განყოფილება--გალაკტიონ ტაბიძის 130 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

29 აპრილი--საღანძილის სასოფლო განყოფილება--გალაკტიონ ტაბიძის 130 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

28 აპრილი--ღორეშის სასოფლო განყოფილება-- მიო მღვიმელი ,,კვლავ დავესწარ გაზაფხულს".

29 აპრილი--ბაზალეთის სასოფლო განყოფილება-- ღონისძიება --გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში.

29 აპრილი--პატ.ხარაგაულის ბიბლიოთეკა--  ღონისძიება --

დედაენა ერთია-დედაენა ღმერთია.

30 აპრილი--ლეღვნის სასოფლო განყოფილება-- ვაჟა ფშაველას 160 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა --იზა ვეფხვაძის წიგნის ,,ახმედ გოგოლაძე ხარაგაულის მსახური" პრეზენტაცია. აღნიშნული ღონისძიება გაიმართა ღორეშის სასოფლო განყოფილებაშიც.

2021 წლის 20 მაისს დაიწყო ბიბლიოთეკების კვირეული, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა ღონისძიებებს.

საბავშვო განყოფილება

2021 წელს ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო მოხერხდა მხოლოდ ერთი ღონისძიების ჩატარება. ღონისძიების ,,ბიბლიოთეკა ყველგან სადაც ხარ" ფარგლებში გაიმართა ანა ჭუმბურიძის წიგნის ,,ანა გოგოს ზღაპრები" პრეზენტაცია, ბავშვებისთვის წაკითხული იქნა ,,ანა გოგოს ზრაპრები".

კინოთეატრის გაერთიანება

2021 წლის 15 ივნისს გაიმართა სპექტაკლის ,,იმერული რეკვიემი" პრემიერა, რომელიც მიმდინარე წლის მანძილზე კიდევ ორჯერ ჩატარდა მაყურებელთა თხოვნით.

2021 წელს თოჯინების თეატრმა გამართა ბავშვებისათვის ორი სპექტაკლი დაბა ხარაგაულსა და სოფელ საღანძილეში.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი

2021 წელს რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურულმა თეატრმა რამდენიმე ღონისძიება გამართა.

მაისის თვეში გაიმართა -- ,,პლენერი გამა".

2021 წელს მიმდინარეობდა დოკუმენტური ფილმის გადაღებები ,,გალაქტიონის ნატერფალებზე". აღნიშნული ფილმის პრეზენტაცია მოეწყო სოფელ ფარცხნალში.

ქართულ-ებრაული ჟურნალის ,,მეგობრობის მერიდიანების " პრეზენტაცია.

ამჟამად მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის გადაღებები ევგენი ხარაძის მოღვაწეობაზე.

მუზეუმი

2021 წლის 18 მაისი--ეროვნული სამოსის დღე.

2021 წლის 5 ივლისი--პატარებისთვის ჩატარადა ღონისძიება ,,ჩვენ ვხატავთ ანიმალიას".

2021 წლის 14 ივლისს --გაიმართა პროექტი--,,პატარა არქეოლოგები".

2021 წლის 13-29 ოქტომბერს გაიმართა გამოფენა-- ,,ჩვენ 30 ამბავი-ბავშვები სტერეოტიპებით არ იბადებიან".

2021 წლის 14 დეკემბერს გაიმართა ფოტო გამოფენა-,,პანდემია, მე და იზოლაცია".

2021 წლის 15 დეკემბერს გაიმართა ღონისძიება--,,ჩემი პატარა ხელებით".

2021 წლის 18 მაისი --,,მუზეუმების საერთაშორისი დღე".

2021 წლის 24 მარტი--ინტეგრირებული გაკვეთილი--მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა.

2021 წლის 31 მარტი--ინტეგრირებული გაკვეთილი--თემა:მუზეუმი

2021 წლის 28 მაისი ინტეგრირებული გაკვეთილი- თემა: მუზეუმი და ბავშვები

2021 წლის 10 ივნისი--პროექტი- პატარა არქეოლოგები და მოხალისეები.

2021 წლის 3 აგვისტო-- პროექტი-- მოხატული კერამიკა.

2022 წელს ჩატარებული ღონისძიებები (1 მაისამდე)

2 თებერვალი-- წიგნის საჯაროდ კითხვის დღე აღინიშნა ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და სასოფლო განყოფილებებში.

25 მარტს თბილისში გაიმართა იზა ვეფხვაძის წიგნის ,,ბილიკი უფლისკენ" პრეზენტაცია. (წიგნი ეძღვნება ბერმონაზონ მამა მათე(ბუაჩიძე) ხსოვნას.

29 მარტს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა ახალგაზრდა შემოქმედთან, ნანა ჭანკვეტაძესთან.

5 აპრილს ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა ,,დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში".

12 აპრილს კინოთეატრში გაიმართა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლი ,,იმერული რეკვიემი".

14 აპრილს დედა ენის დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება საბავშვო ბიბლიოთეკაში.

14-21 აპრილი მონიტორინგი სოფლის ბიბლიოთეკებში (ნიკოლოზ მაჭავარიანი და ნანა ლურსმანაშვილი).

28 აპრილს ხარაგაულის სამუსიკო სკოლაში გაიმართა იზა ვეფხვაძის წიგნის ,,ბილიკი უფლისკენ" პრეზენტაცია.

1 მაისი- პლენერ ,,გამას" დახურვა კინოთეატრში.

ხარაგაულის ა(ა)იპ კულტურის და ხელოვნების ცენტრის ბიუჯეტი 2021 წელს განისაზღვრა 674 000 ლარით. მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენდა 121 თანამშრომელს. შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 601 790 ლარი.

საქონელსა და მომსახურებაში გაიხარჯა 57 778, მათ შორის : შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებამ შეადგინა 14 440ლ ( უსინათლოთა პროექტი 11 600ლ, რეჟისორის დაქირავება 1000ლ,სხვა შტატგარეშე მოსამსახურე 1 640).

მივლინების ხარჯმა შეადგინა 762ლ;

საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის და სხვა ანალოგიური მსალების შეძენის ხარჯი- 1125, რომელიც გადანაწილდა მთელ ქსელში;

ბიბლიოთეკებისათვის შეძენილი იქნა 2166 ლარის ღირებულების ჟურნალ-გაზეთები და სხვადასხვა სახის მხატვრული ლიტერატურა 2557ლ. შეძენილი წიგნები გადანაწილდა საბიბლიოთეკო ქსელში;

კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 7 934ლ;

კომუნალური ხარჯი - 9 121 ლარი;

წარმომადგენლობითი ხარჯი- 1450ლ;

სანიტარული საქონლის შეძენის ხარჯი- 1016ლ;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება(საკონსულტაციო ხარჯი, სამეურნეო საქონლის შეძენის ხარჯი) - 9000ლ;

მიუხედავად პანდემიისა , ხარაგაულის ო. აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, რ. თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი და კულტურის და ხელოვნების ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლები „უბისი" და „მთიელი" აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა ღონისძიებებში, როგორც ადგილობრივ ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ტრანსპორტირება და მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები აანაზღაურა კულტურის და ხელოვნების ცენტრმა, სულ ტრანსპორტის დაქირავების ხარჯმა შეადგინა 4950 ლარი, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების ხარჯმა - 3000ლ;

კომპიუტერის შეძენა -1250ლ;

ისტორიული მუზეუმისა და ბიბლიოთეკისათვის შევიძინეთ 2 ერთეული კომბინირებული პრინტერი ჯამური ღირებულებით 1360ლ;

კინო-თეატრისათვის შეძენილ იქნა მუსიკალური ინსტრუმენტი (ელექტრო პიანინო) ღირებულებით 4199ლ.

2022წელს ა(ა)იპ კულტურის და ხელოვნების ცენტრის ბიუჯეტი განისაზღვრა 802 000ლარით . საშტატო ერთეულთა რიცხოვნობამ შეადგინა 128-ით. სახელფასო ფონდმა შეადგინა 719 000 ლარი. ხარჯები შეადგენს საქონელი და მომსახურებისა და არაფინანსური აქტივების ჩათვლით 83 000ლ.

პირველი აპრილიდან კვლავ განახლდა შშმ პირთა პროექტი, რომელიც ხელს უწყობს მათ ადაპტაციას საზოგადოებაში. პროექტისათვის შტატგარეშე მოსამსახურეთა მუხლში გამოიყო თანხა 11 600 ლარის ოდენობით.

კულტურის და ხელოვნების ცენტრის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ის შესაძლო ხარჯი, რაც სჭირდება სამსახურს სრულყოფილ ფუნქციონირებაში. პერიოდულად ხდება წიგნადი ფონდის განახლება, კომპიუტერული და მცირეფასიანი ტექნიკის შეძენა ცენტრში მეშავალი სამსახურებისათვის, ტრანსპორტირება თეატრებისა და ქორეოგრაფიული ანსამბლებისათვის და ა.შ.

მიმდინარე წელს დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებები, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი

2022 წლის სამუშაო გეგმა

იანვარი

თებერვალი

მარტი ფილმის გადაღება ევგენი ხარაძეზე

აპრილი

მაისი

მარტი -- ვალერი გოგნაძის ახალი წიგნის პრეზენტაცია.

მაისი - ივნისი --- ევგენი ხარაძეზე შექმნილი ფილმის პრეზენტაცია ხარაგაულში, ფარცხნალში და თბილისში, მეცნიერებათა აკადემიაში.

მაისი- ივნისი --- ტრადიციული სამხატვრო პლენერი „ გამა“ ჩატარება -- ორგანიზება.

ივნისი-- ტარიელ ხარხელაურისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლის პრემიერა.

ივლისი -- „ქართული ცეკვის რაინდი“ სპექტაკლის პრემიერა, ეძღვნება სუხიშვილების მოცეკვავეს, ნინო რამიშვილის პარტნიორს თენგიზ ურთმელიძეს.

ივლისი- ქართულ -ებრაული მეგობრობისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლის „ ამ მეგობრობით შევცვლით სამყაროს" პრემიერა ხარაგაულში.

ივლისი- აგვისტო -- სხვადასხვა ლიტერატურული სპექტაკლების გამართვა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 5 ტერიტორიულ ერთეულში.

სექტემბერი --ოქტომბერი --- გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი სპექტაკლის გამართვა ქყვიშში და თბილისში გალაკტიონის მუზეუმში. გალაკტიონის პედაგოგიური მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება სოფელ ფარცხნალში, რომელიც გასულ წელს გადაიღო ლიტერატურულმა თეატრმა. აღნიშნული ფილმის ჩვენება თბილისში მწერალთა სახლში.

პლენერ „გამას" ნამუშევრების დათვალიერების კვირეული. ხელოვნების ღია გაკვეთილები. მასტერკლასები ცნობილი მხატვრების მონაწილეობით.

ნოემბერი-დეკემბერი ---მხატვრების -- ალექსანდრე თოდუას და ანზორ თოდრია შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო-გამოფენა.

# მიზნები და ამოცანები

ბიბლიოთეკაში, ცოდნის სამფლობელში, მრავალი დროის მანძილზე გროვდებოდა ყოველივე საუკეთესო, ყველაზე სასარგებლო, რასაც კი კაცობრიობამ ჭეშმარიტებისა და სილამაზის შეცნობაში მიაღწია.

ბიბლიოთეკის მიზანი და ამოცანაა ბიბლიოთეკაში თავმოყრილი ყველა დროისა და ხალხის პოეტების, მხატვრების, მეცნიერებისა და ისტორიკოსების საუკეთესო ქმნილებათა წინაშე პირისპირ მდგარმა მკითხველმა სწორად შეაფასოს თავისი ნიჭი და ბიბლიოთეკის ყველაზე ძვირფასმა საგანძურმა, წიგნმა, ფასდაუდებელი სამსახური გაუწიოს მას საკუთარი თავის აღმოჩენასა და განვითარებაში. ასევე ბიბლიოთეკაში მოსულ მკითხველს გეგმაზომიერად ჰქონდეს წვდომა სხვადასხვა საინფორმაციო ტექნოლოგიებთან.

ბიბლიოთეკაში კულტურული პროგრამების შემუშავება და განხორციელება წარმატების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

ბიბლიოთეკის ძირითადი მისია საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიღების, განათლებისა და სწავლის პირობების უზრუნველყოფაა.

ბიბლიოთეკები თავიდანვე საყოველთაო საზოგადოებრივი სარგებლობისათვის შეიქმნა. ბიბლიოთეკა ფლობს ინფორმაციის ეფექტურად მიწოდებისა და ინფორმაციის შინაარსობრივი მრავალფეროვნების უნიკალურ მექანიზმებს. კულტურული პროგრამების განხორციელებით , საჯარო ლექციების ორგანიზებით, წიგნების პრეზენტაციებით, ფილმების ჩვენებით, მწერლებთან და ხელოვანებთან შეხვედრებით და გამოფენებით ბიბლიოთეკა ხელს უწყობს

საზოგადოებრივ დიალოგს. დღევანდელ „ონლაინ" სამყაროში,

ბიბლიოთეკის სივრცე ისევ რჩება ცოცხალი კომუნიკაციის, საზოგადოებრივი თავშეყრის, კულტურის, ინფორმაციისა და განათლების

გავრცელების ადგილად. ბიბლიოთეკის მისიის ნაწილია სახელოვნებო ხასიათის ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელება.

საზოგადოებას სჭირდება სივრცე, სადაც წარმოდგენილი იქნება მათი ინტერესების შესაბამისი პროგრამები, ადგილი, სადაც მომხმარებლები თავს კომფორტულად გრძნობენ.

მწერლებს, ხელოვანებს, მეცნიერებს და სხვა კულტურის სფეროს წარმომადგენლებს ყოველთვის სჭირდებათ აუდიტორია, ვისაც პირადად წარუდგენენ თავიანთ ნაშრომებს, სადაც მსმენელები კითხვებს დასვამენ და ერთმანეთს იდეებს გაუზიარებენ.

საჯარო ტიპის ბიბლიოთეკები პრაქტიკულ ინფორმაციას აწვდიან მათ, ვისაც თავიანთი ცხოვრების ხარისხის ამაღლება, საზოგადოებაში დამკვიდრება პიროვნული ინდივიდუალიზმის გამოხატვის ხელშეწყობა სურს.

ბიბლიოთეკა აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას ჯანმრთელობის, განათლების, ბიზნესის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, სამუშაო ადგილების, გარემოს დაცვისა და სხვა მრავალი საკითხის შესახებ.

# ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის 2022 წლის სამუშაო პროგრამა:

1. მკითხველების რეგისტრაცია, საბიბლიოთეკო დღიურისა და მკითხველთა ფორმულარების განხილვა.

2. ცენტრალური ბიბლიოთეკის განყოფილებებისა და სასოფლო განყოფილებების ახალი გეგმის შედგენა-პრეზენტაცია.

3. საიუბილეო და ღირსშესანიშნავი თარიღების განსაზღვრა მთელი წლის განმავლობაში, მუდმივი და დროებითი გამოფენების მოწყობა.

4. მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება.

5. ბიბლიოთეკის დაკომპლექტება ახალი წიგნებით.

6. კატალოგების და კარტოთეკების რედაქტირება , ფონდის შინაარსის გახსნა:

ა) ანბანური კატალოგი

ბ)სისტემური კატალოგი

გ)ელექტრონული კატალოგის შექმნა

7. დავალიანების მქონე მკითხველებთან მუშაობა.

8.საბიბლიოთეკო ფონდების რეკლამირება.

9. წარმომადგენლობითი მუშაობა ბიბლიოთეკაში.

10. ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობა რეგიონში, ანალიზი, პრობლემები.

11. სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკების კოორდინაციული მუშაობის საკითხები.

12. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბიბლიოთეკო მომსახურება, როგორც შ.შ.მ სოციალური ხელშემწყობი ცენტრი.

13. საბიბლიოთეკო სემინარების ჩატარება კვარტალურად.

14. სასკოლო ბიბლიოთეკების ბიბლიოთეკარებისათვის მეთოდური დახმარების მიზნით ტრენინგების ჩატარება.

15. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდების შემოწმების და დაცვის მდგომარეობა და ღონისძიებები.

16. ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკა" ს ნომრების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა.

2022 წლის მწერალთა საიუბილეო თარიღები

- ლადო ასათიანი-105წ (იანვარი)
- არჩილ სულაკაური-95წ (თებერვალი)
- მირზა გელოვანი-105წ (მარტი)
- ოთარ შალამბერიძე-90წ (აპრილი)
- რევაზ (რეზო) თაბუკაშვილი-95წ (აგვისტო)
- ევგენი ხარაძე-115წ (ოქტომბერი)
- ილია ჭავჭავაძე-185წ (ნოემბერი)
- მურმან ლებანიძე-100წ (ნოემბერი)
- ნიკოლოზ ბარათაშვილი-205წ (დეკემბერი)
- სიმონ ჩიქოვანი-120წ (დეკემბერი)

2022წელს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაგეგმილი ღონისძიებები:

1.2 თებერვალი-წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე.

1. მარტი-შეხვედრა ახალგაზრდა შემოქმედთან-ნანუკა ჭანკვეტაძესთან.
2. აპრილი-საბიბლიოთეკო კვირეულში გაიმართება ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?"
3. მთელი წლის განმავლობაში განხორციელდება პროექტი ,,შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან".
4. ოქტომბერი-ევგენი ხარაძე 115წ მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი გაიმართება ვერტყვიჭალაში რ.თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრთან ერთად.
5. აგვისტო-რეზო თაბუკაშვილის 95წ მიძღვნილი საღამო ,,მე წავალ,მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები" გაიმართება მარულისში, რ.თაბუკაშვილის სახელობის სახალხო თეატრთან ერთად.

7.აგვისტო-ექსკურსია აქტიურ მკითხველებთან ერთად.

8.დეკემბერი-აქტიური მკითხველების გამოვლენა.

9.მაისი-ვ. გოგნაძის წიგნის,,ჩემი დღეების თეთრი წყვდიადი-ს"პრეზენტაცია.

## საბავშვო განყოფილებაში დაგეგმილი ღონისძიებები:

1. პროექტი: გავიცნოთ ქართველ მწერალთა შემოქმედება(მწერ. საიუბ.თარიღ. მიხედვით)

2.პროექტი: სტუმრად ბიბლიოთეკაში (ბაღის აღსაზრდელები,დაწ.კლასის მოსწავლეები)

3.პროექტი: „ვინ წამიკითხავს ზღაპარს?!"

4.პროექტი:„ პოეზია ბუნების წიაღში

5. შეხვედრა საბავშვო მწერალთან

6. „შენ გიტოვებ, ეს ქვეყანა შენია"- ნ.დუმბაძის საიუბილეო საღამო

7.„მარად და ყველგან საქართველოვ შენ ვარ შენთანა"- ი. ჭავჭავაძის საიუბილეო საღამო

8. ახალი წიგნების პრეზენტაცია

9.ექსკურსია აქტიურ მკითხველებთან ერთად , გ.ჩიტაიას სახ. ეთნოგრაფიულ მუზეუმში

10.პროექტი: „გავუხანგრძლივოთ წიგნებს სიცოცხლე"

11. საახალწლო ღონისძიება

პატარა ხარაგაულის განყოფილებაში დაგეგმილი ღონისძიებები:

1.ლადო ასათიანის 105 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართება ღონისძიება თემაზე ,,როცა სიცოცხლე ასე წავარდობს".

2.რეზო თაბუკაშვილის 95 წლისთავთან დაკავშირებით გაიმართება ღონისძიება თემაზე-,,მე წავალ,მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები".

2022 წელს სასოფლო განყოფილებებში დაგეგმილი ღონისძიებები:

1. ნადაბურის სასოფლო განყოფილება-ლადო ასათიანი 105წ მიძღვნილი ღონისძიება „არ ვიცი,ასე რამ შემაყვარა".
2. თეთრაწყაროს სასოფლო განყოფილება-მურმან ლებანიძე 100წ მიძღვნილი საღამო.
3. ფარცხნალის სასოფლო განყოფილება-ილია ჭავჭავაძე-185 წ მიძღვნილი საღამო „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?!".
4. ვახანის სასოფლო განყოფილება-ილია ჭავჭავაძე-185წ მიძღვნილი საღამო „უსულგულო ცხოვრება".
5. მარელისის სასოფლო განყოფილება-„საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი"-ლადო ასათიანის 105წ და მირზა გელოვანის 105წ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით.
6. ხიდრის სასოფლო განყოფილება-მურმან ლებანიძე 100წ მიძღვნილი საღამო.
7. ვარძის სასოფლო განყოფილება-მირზა გელოვანი 105 წ მიძღვნილი საღამო.
8. ბორითის სასოფლო განყოფილება-„მე გპირდებოდი,რომ დავბრუნდები"-ლადო ასათიანის 105წ და მირზა გელოვანის 105წ მიძღვნილი საღამო.
9. საღანძილის სასოფლო განყოფილება-დამქრობა ჩვენის ყოფის - აქტიურ მკითხველებთან ერთად.
10. ვერტყვიჭალის სასოფლო განყოფილება-არჩილ სულაკაური 95წ მიძღვნილი საღამო.
11. ზვარის სასოფლო განყოფილება-„კითხვას ვიწყებთ ზღაპრით"საბავშვო ღონისძიება.
12. სარბევის სასოფლო განყოფილება-შეხვედრა აქტიურ მკითხველებთან.
13. ქიცხის სასოფლო განყოფილება-მურმან ლებანიძე 100წ მიძღვნილი საღამო.
14. წევის სასოფლო განყოფილება-ლადო ასათიანი 105 წ მიძღვნილი ღონისძიება.
15. ლეღვანის სასოფლო განყოფილება-ილიას ჭავჭავაძე 185წ მიძღვნილი საღამო-ილია უკვდავია.

16.ლამეს სასოფლო განყოფილება-მირზა გელოვანი 105წ და ლადო ასათიანი 105წ მიძღვნილი საღამო.

17.წიღას სასოფლო განყოფილება-ილია ჭავჭავაძე 185წ მიძღვნილი ღონისძიება „ქართველი ხალხის დიდი განმანათლებელი“.

18.ბაზალეთის სასოფლო განყოფილება-მირზა გელოვანი105წ და ლადო ასათიანი105წ მიძღვნილი საღამო.

19.ლორეშის სასოფლო განყოფილება-მურმან ლებანიძე100წ მიძღვნილი საღამო „როცა მწური ხმალს ლესავდა“.

20.მოლითის სასოფლო განყოფილება-ილია ჭავჭავაძე 185წ მიძღვნილი საღამო „ჩემო კარგო ქვეყანავ!“.

21.წყალთაშორეთი-ლადო ასათიანი 105წ მიძღვნილი საღამო „საქართველო ლამაზო,სხვა საქართველო სად არის“.

22.საბუ-ბიბლიის საღამო„ხომ ლამაზია ეს საქართველო“, მურმან ლებანიძე 100წ, მირზა გელოვანი 105წ და ლადო ასათიანი 105წ მიძღვნილი საღამო.

ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმი

2022 წლის დაგეგმილი ღონისძიებები

| № | ღონისძიების დასახელება | შესრულების დრო |
|---|---|---|
| 1 | ქრისტიანობა და საქართველო 12 ასურელი მამის მოღვაწეობა საქართველოში , წმ.ნინო. | იანვარი |
| 2 | დავით აღმაშენებელი და საქართველო მე - 11 და მე - 12 საუკუნეების მიჯნაზე | თებერვალი |
| 3 | 3 მარტი , 8 მარტი ისტორიული მიმოხილვები ამ დღესასწაულებთან დაკავშირებით. მომზადდება სიუჟეტი, ხარაგაულში მოღვაწე ქალბატონებზე | მარტი |
| 4 | საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის.( 1992 წლის 24 მარტი). | მარტი |
| 5 | 9 აპრილი - მწუხარებისა და ზეიმის დღე. | აპრილი |
| 6 | ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე - რუსეთი, ამერიკა, ევროპის კავშირი. | მაისი |
| 7 | ეროვნული სამოსის დღე | 18 მაისი |
| 8 | „ მუზეუმების საერთაშორისო დღე „ | 18 მაისი |
| 9 | საგანმანათლებლო პროექტი „ მოხალისე გიდები „ | მაისი |
| 10 | საგანმანათლებლო პროექტი „ მხატვარი და ავტოპორტრეტი „ | მაისი |
| 11 | „ მოდი ღამე მუზეუმში „ -მუზეუმების აქცია. | მაისი |
| 12 | საგანმანათლებლო პროექტი „ პატარა არქეოლოგები „ | მაისი , ოქტომბერი |

| | | |
|---|---|---|
| 13 | საგანმანათლებლო პროექტი „ მოხატული კერამიკა „ | მაისი , ოქტომბერი |
| 14 | საგანმანათლებლო პროექტი „მოხალისე რესტავრატორები" | მაისი , ოქტომბერი |
| 15 | ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე | 1 ივნისი |
| 16 | ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა | ივნისი |
| 17 | საგანმანათლებლო პროექტები რაიონის სტუმარი ბავშვებისთვის | ივნისი, ივლისი, აგვისტო |
| 18 | ევროპის მემკვიდრეობის დღეები | ოქტომბერი |
| 19 | ტრადიციად ქცეული ღონისძიება „ შემოდგომა იმერეთში „ | ოქტომბერი |
| 20 | საგანმანათლებლო პროექტი "ქართული საცხოვრებელი" | მთელი წლის მანძილზე |
| 21 | გასვლითი ექსპედიციები | მაისი , ივნისი, სექტემბერი |
| 22 | საგანმანათლებლო პროექტი „ხელოვნება და მუზეუმი" | სექტემბერი |
| 23 | ერთად განსაკუთრებული შესაძლებლობების ბავშვები მუზეუმში | ოქტომბერი |
| 22 | საგანმანათლებლო პროგრამა-"ფერწერა და მუსიკა | ოქტომბერი |
| 23 | ფონდში დაცულ მასალების პოპულარიზაცია ( ვიდეო მასალების მომზადება ) | მთელი წლის მანძილზე |
| 24 | ინტეგრირებული გაკვეთილები | წლის მანძილზე |
| 25 | წინა საახალწლო ტრადიციები საქართველოში. | დეკემბერი |

რაც შეეხება პრობლემებს :

1. დაზიანებულია და სასწრაფოდ შეღებვას საჭიროებს მუზეუმის ფასადი, რაც საფრთხეს უქმნის ფონდს და მასში დაცულ ექსპონატებს.

2. შესამოწმებელია სახურავის მდგომარეობა (გასაწმენდია „ღარები")

3. მუზეუმში არსებული ჩვენი რაიონისთვის და არა მარტო სამაყო დარბაზი „ცნობილი ადამიანები" საჭიროებს რენოვაციას. უკვე 40 წელია რაც გაკეთდა და თავის მხრივ ვეღარ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს.

4. მოსაწესრიგებელია მეორე სართულზე არსებული საგამოფენო სივრცე დროებითი გამოფენებისთვის.

5. მუზეუმის წინა ფასადზე არსებული ფანჯრის ნიშები გვინდა დავფაროთ მუზეუმში არსებული ექსპონატების ფოტო-ბანერებით, რომელსაც ექნება განათება და უფრო მიმზიდველს გახდის მუზეუმის იერსახეს.

6. რაიონის ცენტრში და შემოსასვლელში ვფიქრობ აუცილებელია მუზეუმის საინფორმაციო ბანერის განთავსება.

7. რამოდენიმე წლის წინ, ხარაგაულის კეთილმოწყობის სამსახურის დახმარებით გაკეთდა „მოწნული" ღობე, რაც უკვე ზიანდება და საჭიროებს განახლებას.

8. ყველაზე მნიშვნელოვანი- მუზეუმი უკვე წლებია საჭიროებს რენოვაციას, რომლის პრეზენტაცია ჯერ კიდევ 2015 წელს გაიმართა, ეროვნული მუზეუმის გამოცდილი სპეციალისტების ჩართულობით. უკიდურეს შემთხვევაში აუცილებელია მოემატოს საგამოფენო სივრცე, ვინაიდან მუზეუმის დარბაზები ვეღარ იტევს არსებულ ექსპონატებს.

# კულტურის ცენტრის 2022 წლის სამუშაო გეგმა:

## იანვარ- თებერვალი

,, ოთარ აბაშიძის'' სახელობის სახალხო თეატრის , თოჯინების თეატრის რეპერტუარის აღდგენა-განახლება.

საპრემიერო სპექტაკლების მომზადება .

შემოქმედებითი კოლექტივების : ქორეოგრაფიული ანსამბლების ,, უბისი '' და ,, მთიელი'', ფოლკლორული ანსამბლების ,, უბისი'' და ,, ოდილა'', ვოკალური ანსამბლის ,, ხარაგაულის ხმები'' რეპერტუარის აღდგენა- განახლება.

## მარტი

ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლი ,,იმერული რეკვიემი''.

## აპრილი

თოჯინების თეატრის სპექტაკლის ,,იისფერა''-ს პრემიერა.

## მაისი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისისადმი მიძღვნილი კონცერტი.

## ივნისი

,,ოთარ აბაშიძის'' სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლის პრემიერა.

ქორეოგრაფიული ფესტივალი ,,კიდევაც დაიზრდებიან''

## ივლისი- აგვისტო

თოჯინების თეატრის გასვლითი სპექტაკლები მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში.

## სექტემბერი

ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,მთიელის'' კონცერტი.

## ოქტომბერი

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ ,,უბისის'' კონცერტი.

## ნოემბერი

ვაჟთა ვოკალური ანამბლის,,ხარაგაულის ხმების'' კონცერტი.

## დეკემბერი

საახალწლო კონცერი.